

ა ნ გ ა რ ი შ ი

(აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2015 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ)

1. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა და აფხაზეთის მინისტრის აპარატის 2015 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის N8 განკარგულებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა და აფხაზეთის მინისტრის აპარატის 2015 წლის სამუშაო გეგმის 32-ე - 33-ე პუნქტებით დაგეგმილ ღონისძიებათა ფარგლებში დეპარტამენტმა უზრუნველყო შემდეგი საქმიანობა:

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შესწავლილ იქნა საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტები, გადაისინჯა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტები და მომზადებულ იქნა სათანადო წინადადებები და პროექტები, რომლებიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა შესაბამის უწყებებს (აქედან: 2015 წლის პირველ კვარტალში - 7; მე-2 კვარტალში-10; მე-3 კვარტალში-4; მე-4 კვარტალში-5)(**იხ. დანართი 1**).

ამასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა და შესაბამისი დადებითი თუ უარყოფითი პასუხი გაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან შემოსულ ნორმატიული აქტების პროექტებს. მითითებულ პერიოდში დეპარტამენტმა უზრუნველყო 53 ნორმატიული აქტის პროექტის სამართლებრივი ექსპერტიზა (მათ შორის: 2015 წლის პირველ კვარტალში - 21; მე-2 კვარტალში-10; მე-3 კვარტალში-5; მე-4 კვარტალში-17) (**იხ. დანართი 2**).

ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზისა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნა გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შემოწმება გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძველების აღმოფხვრის მიზნით, ხოლო სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 57 (ორმოცდაჩვიდმეტი) ნორმატიული აქტი. (მათ შორის: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 41 (ორმოცდაერთი) დადგენილება; სხვა ნორმატიული აქტები - 16 (თექვსმეტი) (**დანართი 3**).

უზრუნველყოფილ იქნა 2015 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რეესტრის წარმოება (**დანართი 4**).

2. ზემოთ მითითებული გეგმის 34-ე პუნქტით დაგეგმილ ღონისძიებათა ფარგლებში, რომელიც ეხებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის ინიციატივების შემუშავებას, გათვალისწინებულ იქნა რა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის №01/133 წერილში მითითებული მოთხოვნები აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ მათი

უწყებების კომპეტენციას მიკუთვნებულ ან/და მათ მიერ ინიცირებულ საკითხებზე სამართლებრივი აქტების პროექტების მათსავე უწყებებში მომზადებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში განსახილველად წარმოდგენის თაობაზე, - მიზანშეწონილად ჩაითვალა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში ინიცირებულ საკითხებზე სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება განხორციელებულიყო მათსავე უწყებაში. ამასთან, გამოითქვა მზადყოფნა აღნიშნული საკითხების განხილვაში მონაწილეობის თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2015 წლის 10 მარტის N01/392 წერილით წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, მომზადდა სათანადო წინადადებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის უფლებამოსილების მინიჭების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად.

3. გეგმის 34¹-ე პუნქტით დაგეგმილ ღონისძიებათა ფარგლებში:

ა) 2015 წლის 10 თებერვალს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა თანამშრომლებისათვის დეპარტამენტში ჩატარდა ლექცია-სემინარი (ტრენინგი) თემაზე: „საარქივო საქმის განვითარება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული ფონდის შემქმნელ წყარო დაწესებულებებში“;

ბ) 2015 წლის 23-24 თებერვალს უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა თანამშრომლებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრში ტრენინგის „ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება“ ჩატარება, რომელიც ემსახურებოდა საჯარო მოხელეების გადამზადებასა და მათი კვალიფიკაციის ღონის ამაღლებას;

გ) 2015 წლის 24 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ჩატარებულ იქნა ლექცია-სემინარი (ტრენინგი) თემაზე: საარქივო დაწესებულებებში განსახორციელებელ ნორმატიულ-მეთოდური მითითებებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ს ეროვნული არქივის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა. განხილულ იქნა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დაწესებულებებში საარქივო საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები; საჯარო დოკუმენტების მოძიება-დაცვა-შენახვასთან დაკავშირებული საკითხები; „სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტების“ (საკომლო წიგნები, საბინაო ორდერები და საბინაო წიგნები) დაცვა-შენახვის სამართლებრივი საფუძვლები და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივსაცავის არსი და მისი მნიშვნელობა“.

დ) 2015 წლის 25 ივნისს საქართველოს პროფესიული გაერთიანების საკონფერენციო დარბაზში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დაწესებულებების თანამშრომლებისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ და ჩატარებულ იქნა ტრენინგი თემაზე „გენდერული ცნობიერების ამაღლება“. ტრენინგი დაიგეგმა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 58-ე სესიაზე საქართველოს მიმართ წარმოდგენილი დასკვნითი მოსაზრებების რეკომენდაციების გათვალისწინებით და ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, აფხაზეთის პროფგაერთიანების ადამიანური რესურსების მმართველის სამსახურების ხელმძღვანელი პირები;

ე) 2015 წლის 23 სექტემბერს იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებით საქართველოს პროფგაერთიანების საკონფერენციო დარბაზში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი პირებისათვის და მსგავსი სხვა ფუნქციის მქონე თანამშრომლებისათვის ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „საჯარო გამოსვლების ხელოვნება“;

ვ) 2015 წლის 15 ოქტომბერს იუსტიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, დეპარტამენტის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა საცდელი ტრენინგი თემაზე „ადმინისტრაციული წარმოება“. იგეგმება აღნიშნული ტრენინგის ჩატარება ფართო წრისათვის (აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის) 2016 წლის ღონისძიებათა ფარგლებში;

ზ) პერიოდულად ხდებოდა შეხვედრები აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებთან. 2015 წლის 15 ნოემბერს დაიგეგმა სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და იუსტიციის დეპარტამენტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. შემუშავდა შესაბამისი მემორანდუმის პროექტიც. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის მთავრობის მიერ ზედიზედ დაგეგმილი იყო რამოდენიმე ღონისძიება, რომლებიც გადაფარავდა ზემოთ მითითებულ მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებას, მიზანშეწონილად ჩაითვალა იგი გადატანილიყო 2016 წლის პირველი კვარტლის ღონისძიებათა ნუსხაში;

თ) 2015 წლის 7 დეკემბერს იუსტიციის დეპარტამენტში ჩატარდა აქცია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. თანამშრომლები შეუერთდნენ საერთაშორისო გლობალურ საინფორმაციო აქციას «16 დღიანი კამპანია—გენდერული ძალადობის წინააღმდეგ». აქციის მიზანი იყო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

ი) 2015 წლის 24 დეკემბერს დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ფარგლებში ჩატარდა სემინარი „კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების საკითხთან დაკავშირებით“. მიმოხილულ იქნა პრობლემატიკური საკითხები. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ იგეგმება 2016 წლის ღონისძიებათა ფარგლებში საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელობის მოწვევა (ღონისძიება სავარაუდოდ ჩატარდება მთავრობის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში), რომლებიც მთავრობის წევრებსა და შესაბამისი სტრუქტურების საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ხელმძღვანელებს გააცნობენ საჯარო სამსახურის რეფორმის შესახებ მიმდინარეობასა და წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის მექანიზმებს. ამასთან, შესაძლებელია დაიგეგმოს მთავრობასა და ხსენებულ დაწესებულებას შორის შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაც;

კ) 2015 წელს 24 და 26 დეკემბერს ტრენინგის „სამართალშემოქმედებითი პროცესის ძირითადი ასპექტები“-ს ფარგლებში საქართველოს პროფგაერთიანების საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა აფხაზეთის პროფგაერთიანების და იუსტიციის დეპარტამენტის ერთობლივი ტრენინგი თემაზე „მუშაკთა უფლებების დაცვა - პროფკავშირული საქმიანობა“. ტრენინგი ჩატარდა დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს თანამშრომლების მონაწილეობით. ტრენინგზე მოწვეულნი იყვნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მთავრობის უწყებების თანამშრომლები. სულ დატრენინგდა 38 მოხელე. ტრენინგების მიზანს წარმოადგენდა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის წახალისება, მათ შორის შრომითი სამართლის განხილვა როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კანონმდებლობის კუთხით. სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლისა და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგის მონაწილეებმა შეასრულეს ინდივიდუალური დავალებები - „სამართლებრივი აქტების პირამიდის აგება“.

4. გეგმის 35-ე პუნქტით დაგეგმილ ღონისძიებათა ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობისა და დევნილი მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტმა განახორციელა დეპარტამენტის ვებგვერდზე განთავსებული აფხაზეთის სამართლებრივი აქტების (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და მინისტრის ბრძანებების) განახლება. ამასთან, დევნილი მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტის საიტზე განთავსა საკანონმდებლო სიახლეები. დაიწყო აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოპოვება და დამუშავება, რომელიც საბოლოოდ განთავსდება დეპარტამენტის ვებგვერდზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა იურიდიული სამსახურის წარმომადგენელთათვის, სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მომზადდა პროექტი „სამართალშემოქმედებითი პროცესის ძირითადი ასპექტები“. ამასთან, სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით, გამოსაცემად მომზადდა ბროშურის პროექტი „სამართლებრივი დახმარება დევნილი მოსახლეობისათვის“. ვინაიდან, მომზადებული ცნობარი სრულად ვერ უზრუნველყოფდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტების განხორციელების ხელშეწყობას დევნილი მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით, - მიზანშეწონილად ჩაითვალა, „აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით 1992 წლიდან დღემდე არსებული საქართველოს ნორმატიული აქტების კრებულის“ გამოცემა, რომელშიც ერთ-ერთ ნაწილად შევა აღნიშნული ცნობარი.

ამასთან, საგულისხმოა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა ნორმატიული ბაზით უზრუნველყოფისა და მათი სამართლებრივი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, იუსტიციის დეპარტამენტის პრიორიტეტების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილ იქნა ბროშურის - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის კონსოლიდირებული ვერსიის გამოცემა ბეჭდური სახით, ცვლილებებითა და დამატებებით 2004 წლის 25 ნოემბრიდან 2015 წლის 15 სექტემბრამდე. აღნიშნული ბროშურა პრაქტიკული გამოყენების მიზნით შემდგომ დაურეგდათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებს.

5. საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებიდან და მოქალაქეების მხრიდან დეპარტამენტში შემოსულ არაერთ წერილზე მომზადდა სათანადო პასუხი, ხოლო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის გაწეულ იქნა სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (იხ. დანართი 5).

6. გეგმის 36-ე პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ფარგლებში დეპარტამენტმა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურების კომისიის“ მეშვეობით უზრუნველყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე, პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის მიზნით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიდან შემოსული მასალების შესწავლა და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე 36 პირის ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურება, ხოლო 4 გასცა უარყოფითი პასუხი.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობს „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის N44 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიის საქმიანობაში, რომელიც უზრუნველყოფს ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობას, მონიტორინგსა და შეფასებას, სამოქმედო გეგმის განახლებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნას.

7. გეგმის 38-ე პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების არქივების ორგანიზაციის მეთოდოლოგიური დახმარების გაწევისა და საარქივო საქმიანობის კოორდინაციის გზით უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის მართვა, საარქივო საქმიანობის სრულყოფა და საარქივო საქმის განვითარება **(დანართი 6)**. საგულისხმოა, რომ იუსტიციის დეპარტამენტის რეორგანიზაციის საფუძველზე, ზემოთ მითითებული საქმიანობის სრულყოფისათვის ცალკე ჩამოყალიბდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო, რომელიც გააგრძელებს და უზრუნველყოფს ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებათა განხორციელებას.

8. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის დეპარტამენტში დოკუმენტბრუნვამ შეადგინა 2803 ერთეული. მათ შორის შემოსულმა დოკუმენტების რაოდენობამ შეადგინა 1343 ერთეული (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან 150 დოკუმენტი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან 5 დოკუმენტი; მოქალაქეების 64 განცხადება; სხვადასხვა უწყებიდან - 822 წერილი; იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა 302 სხვადასხვა სახის განცხადება (ანგარიში, მოხსენებითი ბარათი და სხვ), ხოლო გასულმა დოკუმენტების რაოდენობამ - 1460 ერთეული (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში 130 დოკუმენტი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში 12 დოკუმენტი; მოქალაქეთა განცხადებებზე 300 დოკუმენტი; სხვადასხვა უწყებაში 1018 დოკუმენტი).

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ ლიკვიდირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სამსახურის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, გაიცა 139 (ასოცდაცხრამეტი) ცნობა აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზი სეპარატისტებისა და მათ მიერ დაქირავებული ბოევოების მიერ მიყენებული ჭრილობების შედეგად დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიში ამავე კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გადაეგზავნათ საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს, აგრეთვე გამოქვეყნდა სსიპ „საკონმდებლო მაცნე“-ში.

9. მზადდება ყოველკვირეული ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, ხოლო მათ საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს კეთდება აფხაზეთის დე-ფაქტო ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი, რომელიც ეგზავნება სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებს. 2015 წლის განმავლობაში იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მომზადდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა

დარღვევებისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ 52 (ორმოცდათორმეტი) ყოველკვირეული და 4 (ოთხი) კვარტალური ინფორმაცია, რომელიც გაიგზავნა შემდეგ ადრესატებთან:

- საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს გაეროში, ქენევაში, ბატონ შალვა ცისკარიშვილს;
- საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს;
- საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველს ქალბატონ მედეა ტურაშვილს;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ბატონ დავით დონდუას;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩს ადამიანის უფლებებზე ბატონ ირაკლი გიგიაშვილს;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს ქალბატონ ელენე აგლაძეს;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს სამმართველოს უფროსს ქალბატონ ვიქტორია ბაიკოვას;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეს ბატონ ანზორ ლაცუზბაიას;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატს.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია უმეტეს შემთხვევაში საფუძველად დაედო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ მესამე ყოველკვარტალურ ანგარიშს.

10. შემუშავებულ იქნა თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობები. ახალგაზრდა, პროფესიული კადრების მომზადების მიზნით, დეპარტამენტმა უზრუნველყო სტაჟიორ/პრაქტიკანტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სათანადო პირობების შექმნა. სტაჟირება გაიარა 10 (ათი) სტაჟიორმა და 2 (ორი) პრაქტიკანტმა.

დეპარტამენტის მიერ დეპარტამენტში არსებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებული ვებ-გვერდის საშუალებით გამოცხადებულ იქნა 6 (ექვსი) კონკურსი:

- ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ბუღალტრის ვაკანტურ თანამდებობაზე;
- ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (შიდა აუდიტის) ვაკანტურ თანამდებობაზე (ჩამოთვლილი);
- გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამართლებრივი დახმარების განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე;
- დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (შიდა აუდიტი) ვაკანტურ თანამდებობაზე;
- ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე;
- ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამართლებრივი დახმარების განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე.

11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

2015 წლის 23 მაისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანიზებით ჩატარებულ სახალხო ზეიმში „აფხაზეთობა“, რომელიც მოეწყო საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

2015 წლის 23 მაისს დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ქუთაისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკუთრებაში არსებულ სსიპ "ბიზნეს ინკუბატორის" ტერიტორიის დასუფთავების აქციაში; რომელიც მიზნად ისახავდა იმერეთში მცხოვრებ დევნილ ბიზნესსაქმიანობის აწყობის მსურველ, სათანადო განათლების მქონე ახალგაზრდების, უმწეო ოჯახების შრომისუნარიან წევრთა დასაქმების ხელშეწყობას და ამ მიზნით სათანადო პირობების შექმნას.

დეპარტამენტის ხელშეწყობით, კერძოდ, დეპარტამენტის ხელთ არსებული მასალების - აფხაზეთის ომთან დაკავშირებული ვიდეო ფირებისა და ფოტოსურათების სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მიწოდებით (მათ მიერ) ორგანიზებულ იქნა არაერთი ღონისძიება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის ჰუმანიტარული განვითარების საზოგადოების“ მიერ დევნილების დაკარგულ დოკუმენტების ძიება-აღდგენის პროცესში არსებულ პრობლემებზე სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გაწევასთან დაკავშირებით გუდაურში განხორციელებულ პროექტში.

2015 წლის 22 ივნისს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქველმოქმედო აქციაში ჩართვით კეთილი ნება გამოიჩინეს და კუთვნილი ხელფასიდან ერთი პროცენტი თბილისის მერიის მიერ შექმნილი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად არსებულ სპეციალურ სახაზინო ანგარიშზე გადარიცხეს. ასევე, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სხვა დაწესებულებების თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს 2015 წლის 13 ივნისს ვერის ხეობაში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული „ქალაქ მზიური“-ს ტერიტორიის დასუფთავებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ორგანიზებულ მოძრაობა „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში დევნილი ოჯახებისათვის საახალწლო ნობათის გადაცემაში.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და შეხვედრებში:

- „ადამიანის განვითარების ჰუმანიტარული საზოგადოების“ მიერ გუდაურში განხორციელებული ღონისძიება;
- „აფხაზეთის პროფგაერთიანების ქალთა ქსელი“-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიება;
- ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-მუხლი“-ის მიერ ორგანიზებულ ორდღიან ტრენინგში - „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა სამუშაო ადგილებზე“, სადაც აგრეთვე განხილულ იქნა თემები: „საქართველოს საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო აქტების შედარებითი ანალიზი“, „მტკიცების ტვირთი და უფლებათა დაცვის მექანიზმი“, „ადამიანის უფლებები“.
- სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში საქართველოს პროფგაერთიანების ქალთა ქსელის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, სადაც განხილულ იქნა თემები; „დასაქმებულ ქალთა ჩართულობა

კანონშემოქმედებით საქმიანობაში“; „საქართველოს შრომის კანონმდებლობა და ქალთა შრომითი უფლებები“. გენდერული თანასწორობის იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დეპარტამენტის ურთიერთობების წარმართვა.

- 2015 წლის 21 სექტემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, თბილისის ევროპული-ახალგაზრდული ცენტრის ინიციატივით, ორგანიზაცია „ჰელპინგ-ჰენდისა“ და „ლიდერთა კლუბის“ პარტნიორობით მშვიდობის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ღონისძიებაში მოწვეული სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლები. აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ ნახატებით წარმოადგინეს თავიანთი თვალთ დასახული მშვიდობა და პლაკატზე დაიტანეს გზავნილები, თუ რა როლი გააჩნია სამართალს მდგრადი და ჰუმანური განვითარების პრინციპების რეალიზებაში. დევნილმა ბავშვებმა გამოთქვეს სურვილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტთან ჩამოყალიბდეს „მოზარდთა კლუბი“, რომლის მიზანი იქნება აფხაზეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ამ მიზნით სამართლებრივ საკითხებზე ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობის მიღება.

12. იუსტიციის დეპარტამენტის ფინანსური საქმიანობის მხრივ 2015 წლის განმავლობაში განხორციელდა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შედგენილია, ატვირთულია და გაგზავნილია:

- ა) 1071 საგადახდო მოთხოვნა;
- ბ) 203 ვალდებულების დოკუმენტი;
- გ) 100 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
- დ) 93 სახელფასო პაკეტი.

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე:

ა) ატვირთულია 100 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, აქედან 10 ხელშეკრულებაზე ხდებოდა მისი მიმდინარეობის შესახებ მონაცემთა ყოველთვიური მონიტორინგი ;დარეგისტრირებული ხელშეკრულებების შესაბამისად განხორციელებული გადახდების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები;

ბ) 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის მონიტორინგი CPV კოდების მიხედვით და შესაბამისი კორექტირებები;

გ) ვადების დაცვით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული პორტალის მეშვეობით გაგზავნილია პასუხები დეპარტამენტის მიერ 2016 წლისთვის ავტომანქანის საბურავები, ფიჭური მომსახურება, ავტომანქანების შეძენა, საწვავის შეძენა, იუპიესების შეძენა მოსალოდნელი განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ (კონს.ტენდერი).

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პორტალზე ვადების დაცვით გაგზავნილია 12 თვის ყოველთვიური მონაცემები საშემოსავლო გადასახადებისა და დასაკავებელი გადასახადებისა და განაცემების შესახებ ინფორმაცია;

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილია 12 თვის ინფორმაცია შრომის შესახებ (სტატისტიკური ანგარიში).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარედგინა I, II, III და IV კვარტლის შესრულების და პრიორიტეტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და საქმიანობის ეფექტური განხორციელების შესახებ. ნაწილობრივ მოწესრიგდა იუსტიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული საოფისე ფართი. (დანართი: სულ 53 ფურცლად)